პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 199 (4193)

1970 წ. 10 ოქტომბერი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჭუჭუნ

„ლოკომოტივის" სტადიონზე დამთავრდა თბილისის სპორტსკოლის გუნდების პირველობა მძლეოსნობაში. მონაწილეები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ერთ ჯგუფში უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები ასპარეზობდნენ, მეორეში — სპორტული კლუბები. ბირთვის მკვრელ ქალთა შეჯიბრებაში თავი ისახელა დინამოელმა სპორტის ოსტატმა ლ. ტულუშმა, რომელმაც 14,62 მ აჩვენა და რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა. ძველი რეკორდი 1966 წლიდან თბილისელ მ. თათარაშვილს ეკუთვნოდა და 14,60 მეტრს უდრიდა.



## კოლმეურნე მთამსვლელები ბანგურიანზე

ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპიურ კლუბში მესტიიდან ცნობა მოვიდა: წარმატებით დამთავრდა „კოლმეურნის" ალპინიადა მწვერვალ ბანგურიანზე, რომელშიც 48 კაცი მონაწილეობდა. ასვლა გამოჩენილი ქართველი მთამსვლელის მიხეილ ხერგიანის ხსოვნას ეძღვნებოდა.

ოლიმპიადის საერთო ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი მთამსვლელის ბექნუ ხერგიანის ვაჟი მიხეილი.

## ალმა-ათის კორტებზე

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ალმა-ათაში მიმდინარე ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეოთხედფინალში 3 თბილისელი გავიდა. მათგან შემდგომ ეტაპზე ბრძოლის უფლება მხოლოდ ა. მეტრეველმა მოიპოვა. მან მეოთხედფინალში იოლად დაამარცხა ლენინგრადელი ა. ივანოვი (6:2, 6:3, 6:0) და ნახევარფინალში გავიდა.

თბილისელი ა. ივანოვა მეოთხედფინალში დამარცხდა და V-VIII ადგილებისთვის მებრძოლ ჯგუფში გადაინაცვლა. ქალთა ერთეულების ნახევარფინალში გავიდნენ: მოსკოველები ო. მოროზოვა, ე. იზოპაიტისი, ლენინგრადელი ა. ერემეევა და რიგელი ზ. იანსონე.

# დასავლეთ შხარაზე სამხრეთ-დასავლეთის კედლით

**მთამსვლელთა წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში კავკასიონის, პამირისა და ტიან-შანის მწვერვალებზე ტექნიკურად რთული კლასის ასვლებში სხვადასხვა რესპუბლიკის 19 უძლიერესი გუნდი მონაწილეობს. საქართველოდან ჩემპიონატში განაცხადი აქვს წარდგენილი თბილისის მთამსვლელთა ჯგუფს, რომელმაც დასავლეთ შხარაზე სამხრეთ-დასავლეთის კედლით ასვლა განახორციელა.**

კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილი, ეგრეთ წოდებული ხალდე-ბეზინგის კედელი ერთ-ერთ ტექნიკურად რთულ მონაკვეთად არის აღიარებული. მის სირთულეს განაპირობებს სიმაღლე, ციცაბო, კლდოვანი კედლები, ყინულის ლავგარდანები, დამრეცი თოვლიანი ფერდობები და განსაკუთრებული მიკროკლიმატი. ხალდე-ბეზინგის კედლის ცალკეულ მწვერვალებზე ბევრი საინტერესო ასვლაა განხორციელებული, რისთვისაც სპორტსმენებს საპრიზო ადგილებს აკუთვნებდნენ. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ მწვერვალებზე ასვლის სირთულეს.

კავკასიონის ქედის ამ ნაწილის ათვისებას მოკლე ისტორია აქვს.

1937 წელს, შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში, ს. გვალია და რ. კვიციანი ზამთარში ავიდნენ უსახელო მწვერვალზე, რომელსაც რუსთაველის სახელი უწოდეს.

1952 წელს ბექნუ ხერგიანის ჯგუფმა მოაწყო ტრავერსი მწვერვალებზე: შხარა — რუსთაველი — ჯანღა — კატინი — თეთნულდი. 1955 წელს მთამსვლურ ბანაკ „ნაკრას" ინსტრუქტორთა ჯგუფმა ა. ალფერიევის ხელმძღვანელობით (ჯგუფში ქართველი მთამსვლელებიც შედიოდნენ) განახორციელა ასვლა დასავლეთ შხარაზე სამხრეთის ქედით. 1957 წელს გ. გულბანის ჯგუფმა მწვერვალ ჯანღას სამხრეთი კედელი დაძლია. შემდეგ, 1958 წელს, ერთი ჯგუფი დ. ობოლაძის ხელმძღვანელობით დასავლეთ შხარაზე სამხრეთის კედლით ავიდა. 1960 წელს კვლავ ხალდე-ბეზინგის რაიონში მოეწყო ა. ივანიშვილის ექსპედიცია და მთამსვლელთა ჯგუფი ო. ხაზარაძის ხელმძღვანელობით მწვერვალ ჯანღაზე ავიდა. 1963 წელს ცენტრალურ შხარაზე ტრაგიკულად დამთავრდა ქართველ მთამსვლელთა შტურმი. ჩამოსვლის დროს დაიღუპა გურამ თიკანაძე — შესანიშნავი მოქალაქე, მთამსვლელი, ფოტოხელოვნების უბადლო ოსტატი. 1964 წელს გ. თევდორაშვილის მეთაურობით მთამსვლელთა ჯგუფმა ხელახლა გაიარა ხერგიანის გავლილი გზა ცენტრალურ შხარაზე. 1965 წელს გ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით დაძლეულ იქნა ცენტრალური ჯანღა. ამის შემდეგ მხოლოდ 1969 წელს ავიდა მთამსვლელთა ჯგუფი ცენტრალურ შხარაზე სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლით და კიდევ ერთხელ მოიპოვა ბრინჯაოს მედლები. ამ ჯგუფის წევრებს შ. მირიანაშვილს (ხელმძღვანელი), ო. ხაზარაძეს, დ. დანგაძეს წინა წლებში ერთობლივი ასვლები ჰქონდათ მოწყობილი მწვერვალ აილამაზე სამხრეთის კედლით, დასავლეთ ჯანღაზე, რუსთაველის პიკზე სამხრეთის კონტრფორსით, ცენტრალურ შხარაზე სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლით. თუ ამას დავუმატებთ პამირისა და ტიანშანის სიმაღლოვან მწვერვალებს, გასაგები იქნება ის ურთიერთგაგება და ერთიანობა, რაც ამ ჯგუფს ახასიათებდა.

საბჭოთა კავშირის წლევანდელ ჩემპიონატში ქართველ მთამსვლელთა ორი გუნდი მონაწილეობს: სასიმაღლო-ტექნიკურ კლასში — პამირის ექსპედიცია და ტექნიკური სირთულის კლასში — კავკასიონისა. ამ უკანასკნელის განაცხადში შედის დასავლეთის შხარა სამხრეთ-დასავლეთის კედლით.

მწვერვალი უშბა დიდი პოპულარობით სარგებლობს თავისი სილამაზის, მდებარეობის წყალობით, იმის გამო, რომ ამ მწვერვალზე 20-მდე სხვადასხვა მარშრუტია, ხოლო ჩრდილოეთ უშბაზე მასობრივი ასვლაც მოეწყო. ეს არ შეიძლება ითქვას შხარაზე, რომლის ათვისება არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო.

შხარაზე მარშრუტები უშბის ცალკეულ გზებს უთანაბრდება, ხოლო ზოგიერთი ტექნიკურად რთული მონაკვეთი აჭარბებს კიდეც. თუ ამას დავუმატებთ შხარას სიმაღლეს (5182 მეტრი ზღვის დონიდან) და ამინდს, რომელიც ამ მიკრორაიონში განსაკუთრებით ჭირვეული იცის, გასაგებია ის

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

• • •

სურათზე: მთამსვლელები ხალდეს ყინვარზე.

სპორტის ოსტატ შ. მირიანაშვილის ფოტო.

## ახალი ამბები

● **ბერლინი, 8 ოქტომბერი.** აქ მიმდინარეობს მოკრივეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ბევრი უძლიერესი სპორტსმენი გამოდის. მონაწილეთა შორის არიან სსრ კავშირის წარმომადგენლებიც. ევროპის ჩემპიონმა ვ. ტრეგუბოვმა პირველსავე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა მასპინძელი დვორაკი. ა. შეპილოვმა ასეთსავე შედეგს მიაღწია მეორე რაუნდში, როცა ფარხმალი დააყრევინა ჩეხოსლოვაკიელ ხავლიჩეკს. ვ. სოკოლოვმა სძლია კუბელ ტორესს. მარცხის სიმწარე იწვნია ვ. ივანოვმა, რომელმაც ევროპის ჩემპიონ გედოსთან (უნგრეთი) წააგო.

● **კრასნოვკა (ჩებოქსარის ოლქი), 8 ოქტომბერი.** აქ, ადგილობრივი სტადიონის შესასვლელთან, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა შესანიშნავი რუსი გოლიათის ი. პოდუბნის ძეგლი, საჩვენებელ სპორტულ გამოსვლებში მონაწილეობდნენ კიევიდან ჩამოსული მოჭიდავეები, მათ შორის, ცნობილი ფალავანი ი. ბოგდანი.

● **ვენა, 8 ოქტომბერი.** „პრატერ-შტადიონზე" 25 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ავსტრიის ნაკრებმა დაამარცხა საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი — 1:0.

● **რავალპინდი, 8 ოქტომბერი.** ბალახის ჰოკეის პირველ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც გაისად 12-დან 21 თებერვლამდე ჩატარდება ლახორში (პაკისტანი), 10 ნაკრები გუნდი მიიღებს მონაწილეობას. უკვე ცნობილია 5 მონაწილე: ევროპის 4 უძლიერესი გუნდი (გფრ, ჰოლანდია, ესპანეთი, საფრანგეთი) და აფრიკის წარმომადგენელი — კენიის კოლექტივი.

● **ბერლინი, 8 ოქტომბერი.** გდრ-ის დედაქალაქის ქუჩებში გამართული ველორბოლა მოიგო მასპინძელმა გ. კირიჩენკომ. მან 60-კილომეტრიანი დისტანციის გავლას 1:28.30 მოანდომა.

● **ბაქო, 8 ოქტომბერი.** აქ დაიწყო ხელბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი შეხვედრები. გათამაშებას ლიდერობს ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი — კიევის „სპარტაკი".

## პირველი მატჩები

### ნორვეგია — უნგრეთი 1:3
### ჩეხოსლოვაკია — ფინეთი 1:1

დაიწყო ფეხბურთელთა ევროპული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. 7 ოქტომბერს ოსლოში მასპინძელმა — ნორვეგიის ნაკრებმა მიიღო უნგრეთის გუნდი. სტუმრები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ და მატჩიც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 3:1. პრაღაში ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ნაკრებთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.



გუშინწინ მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის III ჩემპიონატი რეგბიში. ოქროს მედლები მოსკოვის სპორტკლუბ „ფილის" წევრებს ხვდათ. თბილისის „ლოკომოტივი" IV ადგილზე გავიდა. ჩვენი გუნდის 11 მოთამაშემ სპორტის ოსტატობა მოიპოვა.

სურათზე: მოედანზე ლოკომოტიველები არიან. ბურთით გარღვევაზეა გუნდის კაპიტანი გ. მიქაბერიძე.

(საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის ანგარიში იხ. მე-4 გვ.)

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — სპარტაკიადებისთვის მზადება

СПАРТАКИАДА V НАРОДОВ СССР

## ...თუ გომებს არ მივმართეთ

შესაძლოა ვინმეს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ გავბედავ და ვიტყვი: საქართველოს V სპარტაკიადის დროც მოვა. კი მაგრამ, რა არის ამაში მოულოდნელი, ან საეჭვო? განა ასეთი დიდი საიდუმლოა, რომ ერთ მშვენიერ დღეს რესპუბლიკური სპარტაკიადა მართლაც გაიხსნება, რომ ჩატარდება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში და ეს დიდი ასპარეზობა მერე ისევე საზეიმოდ დაიხურება, როგორც გაიხსნა?

წარმოიდგინეთ, არიან სპორტის ისეთი მუშაკები, კერძოდ, ველოსპორტის მესვეურნი, რომლებმაც, როგორც ჩანს, არ იციან, თუ გაისად სპარტაკიადა უნდა ჩატარდეს. ისინი უმთავრესად რაიონებში ცხოვრობენ და, ასე განსაჯეთ, ველოსპორტის პოპულარიზაციისთვის არიან მოწოდებულნი. მშვიდად, აუღელვებლად მიჰყვება ეს ხალხი მოვლენათა მსვლელობას და იმასაც არ ცდილობს, რომ მოჩვენებითი აქტიურობით მტვერი მაინც შეგვაყაროს თვალში.

ფორმალურად მათ ყველაფერი თითქოს რიგზე აქვთ. ჩატარდა რესპუბლიკის პირად-გუნდური ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში და ისინიც გამოეხმაურნენ ამ მოვლენას. მაგრამ საკმარისია კი ასეთი გამოხმაურება? ვალის მოხდას და ამ მიზნით ტურნირში მონაწილეობას სჯობს სულ მოარიდო თავი სარბიელს, რათა არც შენ მოტყუვდე და არც სხვა მოატყუო.

თორემ მოხდა ისე, რომ თბილისში ჩამოვიდნენ რაიონების საოცრად სუსტი გუნდები, ერთხელ კიდევ დაგვარწმუნეს თავიანთ უსუსურობაში და ალბათ კმაყოფილნი გაემგზავრნენ უკან. რა გამოვიდა? არავინ მოტყუვდა, არავინ მოიხიბლა. ველოსპორტის ნამდვილ გულშემატკივრებს ერთხელ კიდევ გაუფუჭდათ გუნება. არა, რაიონებში, როგორც ჩანს, არ უყვართ ველოსპორტი და ყოვლად უშედეგოა ამის გამო წუხილი, თუ რაიმე რადიკალურ ზომებს არ მივმართეთ.

რა გუნდები ასპარეზობდნენ ჩემპიონატში? თბილისის ორი კოლექტივი, აფხაზეთი, აჭარა, ქუთაისი და რუსთავი. სამხრეთ ოსეთი? იგი, რა თქმა უნდა, ტრადიციის ერთგულია და რესპუბლიკურ ჩემპიონატს ისე, სხვათა შორის უყურებს. იყო კიდევ ერთი კოლექტივი, ჭაბუკთა ნაკრები გუნდი, რომელიც, ფაქტიურად, თავისი ჩემპიონატისთვის ემზადება (ეს შეჯიბრება თბილისში ჩატარდება 17-20 ოქტომბერს) და ახლა უკონკურსოდ გამოვიდა სარბიელზე.

სხვათა შორის, ჭაბუკმა ველოსიპედისტებმა არც ისე ურიგო შთაბეჭდილება დატოვეს. ყოველ შემთხვევაში, ცხადია რომ გუნდი ტურნირისთვის სერიოზულად ემზადება და გარკვეულ მიზნებსაც ისახავს. რესპუბლიკურ ჩემპიონატს მომზადებული შეხვდნენ თბილისის გუნდები (მწვრთნელები ი. გოცირიძე და ნ. ტრეტიაკოვი) და რამდენიმე ველოსიპედისტი რაიონებიდან. ეს იყო და ეს.

ცხადია, პროგრამის ცალკეულ სახეობებში საპრიზო ადგილები ფავორიტებმა გაინაწილეს. იყო მხოლოდ ერთი გამონაკლისი — ჯგუფური რბოლა, სადაც პირველობის ბედი დაწინაურებულთა ბრძოლაში გადაწყდა. საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: ჯგუფურ რბოლაში 16 საუკეთესო შედეგი იძლეოდა ჩათვლას. ეს ცოტა არ არის, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ თექვსმეტ ველოსიპედისტში აჭარის ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ მოხვდა. ნუთუ ამის შემდეგ სერიოზულად შეიძლება მტკიცება, რომ აჭარაში ველოსპორტის განვითარებისთვის ძალიან ზრუნავენ?

ჩვენ ასე გვესმის: საქართველოს სპარტაკიადა და ამ შეჯიბრებისთვის მზადება, მოცემულ ეტაპზე რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობის ქვაკუთხედია. ის, ვინც ამ მუშაობას გაურბის, ვინც ზერელედ, სხვათა შორის ცდილობს ფონს გასვლას, მკაცრად უნდა დაისაჯოს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რესპუბლიკის სპარტაკიადა ბოლო საფეხურია სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისკენ მიმავალ გზაზე, რომ სწორედ რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ უნდა თქვას საბოლოო სიტყვა საბჭოთა სპორტის დიდი ფორუმების წინ.

**ნ. ახვლედიანი.**

• • •

გთავაზობთ ჩემპიონთა ტექნიკურ შედეგებს:

**დაყოფილი სტარტი 80 კმ.** 1. დ. კობაიძე (თბილისი I) — 46.10, 2. გ. ბულბულოვი (ჭაბუკთა ნაკრები) — 46.35, 3. ი. რთველიაშვილი (თბილისი II) — 46.55.

**გუნდური რბოლა 75 კმ.** 1. თბილისი I (დ. კობაიძე, ს. გრიშკევიჩი, ა. კოსტეცკი, ე. დილებაშვილი) — 1:46.15, 2. თბილისი II — 1:47.15, 3. რუსთავი — 1:47.20.

**ჯგუფური რბოლა 120 კმ.** 1. ო. ქათამაძე (ქუთაისი) — 3:01.20, 2. ვ. სიდანოვი (პირადი ჩათვლა) — 3:01.21, 3. ა. ნარსია (აფხაზეთი) — 3:01.22.

**გუნდური პირველობა:** 1. თბილისი I, 2. თბილისი II, 3. რუსთავი.

• • •





**სურათებზე:** ჯგუფური რბოლის მონაწილენი დისტანციაზე. თბილისის I კოლექტივი — რესპუბლიკის ჩემპიონი გუნდურ რბოლაში. მარცხნიდან — მწვრთნელი ნ. ტრეტიაკოვი, ე. დილებაშვილი, ს. გრიშკევიჩი, დ. კობაიძე, ა. კოსტეცკი და მწვრთნელი ი. გოცირიძე.

სპორტის ოსტატ ა. გუნიას ფოტო.

# დასავლეთ შხარაზე სამხრეთ-დასავლეთის კედლით

(დასასრული)

დიდი ინტერესი, რასაც ხალდე-ბეზინგის კედელი იწვევს. სწორედ აქაა თავმოყრილი კავკასიონის უმაღლესი მწვერვალები, და, კერძოდ, შხარას მასივი.

შხარას მასივი ძირითადად სამი მთავარი ნაწილისგან შედგება. ესაა აღმოსავლეთი, ცენტრალური და დასავლეთი მწვერვალები. აღმოსავლეთსა და ცენტრალურ მწვერვალებზე შედარებით „მარტივი" 4 (ბ) და 5 (ა) კატეგორიის სირთულის გზები არსებობს, დასავლეთ შხარაზე ამას ვერ ვიტყვით: ეს მარშრუტი ურთულესად ითვლება, რომელი მხრიდან და პუნქტიდანაც უნდა განხორციელდეს მწვერვალზე ასვლა. საკონკურსო ჯგუფის წევრები ჯერ კიდევ თბილისში — ბოტანიკურ ბაღთან და წავკისის ხევის კლდეებზე გადიოდნენ წვრთნას. მთავარი ყურადღება ექცეოდა თავისუფალ ცოცვას, ლავგარდანების გავლას და სხვ.

მზადების მეორე ეტაპზე ექსპედიციის წევრები მონაწილეობდნენ ქალაქ თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის შეკრებაში, საქართველოს ჩემპიონატში (მთამსვლელობაში). მათ სხვებთან ერთად განახორციელეს ასვლები სხვადასხვა სირთულის მწვერვალებზე. მზადების ბოლო მონაკვეთზე ექსპედიციის მონაწილეებმა საბაზო ბანაკი ხალდეს ხეობაში გადაიტანეს. შტურმის მონაწილენი ხალდე-ბეზინგის ძირში დაბანაკდნენ, ხოლო სათვალთვალო ჯგუფი — ხალდეს ყინვარზე. მოიერიშე ჯგუფის შემადგენლობა და რაოდენობა რამდენიმე თვით ადრე იყო განსაზღვრული. ასევე იყო დაგეგმილი მოძრაობის გრაფიკი მარშრუტის სირთულისა და კედელზე ღამის თევის ადგილების გათვალისწინებით. განსაზღვრული იყო ზურგჩანთის მინიმალური წონა იმ ანგარიშით, რომ წინმიმავალი გათავისუფლებულიყო ტვირთისაგან. მაქსიმალურად იყო გამოყენებული ყველა ექსპედიციის მიერ დაგროვილი გამოცდილება. სავარაუდოდ, საიერიშო კედელი დაყოფილი იყო შვიდ მონაკვეთად, ექვსი ღამის თევით. თუმცა შემდეგში ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო მოძრაობის გრაფიკში ცვლილების შეტანა გახდა საჭირო. მწვერვალამდე 150 მეტრი რომ დარჩა, აუცილებელი შეიქნა მეშვიდე ღამისთევის მოწყობა ზედ შხარას ქედზე. ჯგუფს განსაზღვრული ჰქონდა გაუთვალისწინებელ შემთხვევაში უკან დახევის ტაქტიკაც.

დასავლეთ შხარას შტურმი (ცენტრი სამხრეთ-დასავლეთის კედელზე) 13 აგვისტოს დაიწყო. ამ ტექნიკურად ურთულესი მარშრუტის დაძლევასა და უკან დაბრუნებას 9 დღე დასჭირდა.

20 აგვისტოს მწვერვალიდან გამარჯვების მაცნე მწვანე მაშხალა აუშვეს. 22 აგვისტოს ჯგუფი მშვიდობით დაბრუნდა საბაზო ბანაკში.

მთამსვლელთა მიერ გავლილი მარშრუტი უმაღლესი, მეექვსე კატეგორიის სირთულით შეფასდა.

მოიერიშე ჯგუფში შედიოდა მოწინავე ქართველ მთამსვლელთა მთელი პლეადა. ჯგუფის ხელმძღვანელი იყო შოთა მირიანაშვილი, სსრ კავშირის სპორტის საპატიო ოსტატი, ქალაქ თბილისის მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთამსვლელთა სექციის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ნახევარგამტართა ფიზიკის პრობლემური ლაბორატორიის გამგე, რომელიც სწორედ დღეს დაიცავს საკანდიდატო დისერტაციას. ჯგუფში შედიოდნენ: ოთარ ხაზარაძე — სსრ კავშირის სპორტის საპატიო ოსტატი, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე, საკვალიფიკაციო კომისიისა და ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, ცნობილი მთამსვლელი, ელექტროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის განყოფილების გამგე; დიმიტრი დანგაძე — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, საქართველოს კლდეზე ცოცვის კომიტეტის წევრი; ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგი; ლევან ღლონტი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ფიზიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტი; ალექსანდრე (ალიოშა) გავაშელი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ახალგაზრდა, პერსპექტიული მთამსვლელი, თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტი, გეოლოგი. სხვათა შორის, მან თავის სადისერტაციო თემად კავკასიონის მთის ქანების შესწავლა აირჩია.

საიერიშო ჯგუფის ყველა წევრი, გარდა დიმიტრი დანგაძისა, თბილისის უნივერსიტეტის მთამსვლელთა სექციაში გაიზარდა. ხუთივე ქალაქ თბილისის მთამსვლელთა ფედერაციისა და „ბურევესტნიკის" წევრია.

ამრიგად, ქართველ მთამსვლელთა მიერ შხარას მასივისა და ხალდე-ბეზინგის კედლის სამხრეთის ფერდობიდან დაპყრობის ეპოპეა დამთავრდა.

ეს შესანიშნავი ასვლა ექსპედიციის მონაწილეებმა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიუძღვნეს.

**დ. გოგალიშვილი,**

**ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის სასწავლო ნაწილის უფროსი.**





**სურათებზე:** შხარის მასივი (მარცხნივ) და კედელზე.

სპორტის ოსტატ შ. მირიანაშვილის ფოტო.

1970 ფეხბურთი

## [illegible] გოლები, [illegible]

7 ოქტომბერს მოსკოვის „დინამო" — წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ლიდერი — საკუთარ მოედანზე დამარცხდა „შახტიორთან". მოსკოველებმა ერთობ თავდაჯერებით დაიწყეს მატჩი, ეტყობა, აუტსაიდერთან თამაში იოლ ამბად მიიჩნიეს. ეს რწმენა იმანაც განამტკიცა, რომ ანიჩკინმა უკვე მე-7 წუთზე აიღო დონეცკელთა კარი. ამის შემდეგ მასპინძლები მოეშვნენ, ტემპს უკლეს და ინიციატივა თანდათან სტუმრების ხელში გადავიდა. შესვენების შემდეგ ჯერ ევსეენკომ გაქვითა გოლი, მერე კი კოზინკევიჩმა გაზარდა ანგარიში. „დინამომ" მართლაც ოქროს ფასად ღირებული 2 ქულა დაკარგა.

მეორე დღეს იგივე ბედი ეწია მოსკოვის „ტორპედოს". მანაც შინ, ასევე აუტსაიდერთან — ორჯონიკიძის „სპარტაკთან" — იმავე ანგარიშით (1:2) წააგო მატჩი. აქაც ჯერ მასპინძლებმა (ლენიოვი) გაიტანეს ბურთი. შესვენებამდე კაიშაურმა გაქვითა გოლი, შესვენების შემდეგ კი, როცა მატჩის დამთავრებას ორიოდე წუთი აკლდა, ძაგოევმა დაახლოებით 35 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით გაზარდა ანგარიში.

სსრ კავშირის პირველობა

# მეტოქე დაჯაბნეს

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 7 ოქტომბერი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „დაუგავა" (რიგა) 5:1 (2:0).

„ლოკომოტივი": ბერიძე, ფრიდმანი, პანოვი, ქელეხიძე, ფილია, გოგიჯანაშვილი, ჯორბენაძე, უიფიანი, მხვაცაბაია, ბახტაძე, ჭელიძე.

„დაუგავა": ლუნზგისი (ეგარსი), ბეშკერევი, რაცინი, რომკოვი (მოროზოვი), პეტროვსკი, ლიეპინში, ლუკინი, პუპოვი, კრიუკოვსკი, სკადიტი, ერმაკოვი.

მსაჯი ი. შევიაკოვი (სტავროპოლი).

თბილისელთა მეტოქე ერთ დროს „ა" კლასის უმაღლესი ლიგის ბინადარი და ლიდერთა რიცხვა გახლდათ. მაგრამ ეს იყო წინათ. ახლა იმ გუნდისგან მხოლოდ სახელწოდება დარჩა. „დაუგავა" შეჯიბრების ერთ-ერთი აუტსაიდერია და საკმაოდ უღიმღამო პერსპექტივაც აქვს: გუნდმა დარჩენილი მატჩები ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებთან უნდა გამართოს, ამასთან, შეხვედრების უმეტესობა მეტოქეთა მინდორზე ჩატარდება.

თბილისელ რკინიგზელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ დღეს მონდომებულად, გააზრებულად თამაშობდნენ. მათ მეტოქე დაჯაბნეს როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად. რკინიგზელთა თამაშში თითქმის ვერ დავინახეთ წუნი. „ლოკომოტივს" წუნად შეიძლება მხოლოდ ის ვუსაყვედუროთ, რომ მეორე ტაიმის შუა პერიოდში ოდნავ მოდუნდნენ და მეტოქეს ინიციატივა დაუთმეს, რასაც გოლი მოჰყვა. მაგრამ ამ გოლმა გუნდის თამაშში დაბნეულობა როდი გამოიწვია. პირიქით, თბილისელები სწრაფად გამოფხიზლდნენ და მატჩის ბოლო აღმავლობით ჩაატარეს.

გოლები კი ასე გავიდა: მე-2 წუთზე მარცხენა ფრთაზე გასულმა ფილიამ კარში დაარტყა და მეკარემ ფეხებშუა გაატარა იოლი ბურთი. მე-10 წუთზე ბახტაძემ კარგად ჩააწოდა ბურთი ჭელიძეს, რომელმაც მეკარისთვის მოურიდებლივ ქუთხეში გაგზავნა ბურთი. 71-ე წუთზე უყურადღებოდ დატოვებულმა ერმაკოვმა ძლიერი დარტყმით ერთი გოლი გაქვითა. ის-ის იყო მსაჯი საფინალო სასტვენის მიცემას აპირებდა, რომ ყიფიანი შეიჭრა რიგელთა საჯარიმო მოედანზე, მოატყუა მეკარე და ლამაზი გოლი გაიტანა.

ა. ცეხანელი.

ფეხბურთი საკავშირო

„სტროიტელი" (აშხაბადი) — „კაირათი" (ალმა-ათა) 0:1, „პამირი" (დუშანბე) — ასკ (ხაბაროვსკი) 2:0, „ალგა" (ფრუნზე) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 1:1, „მოლდოვა" (კიშინიოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:2, „კუბანი" (კრასნოდარი) — ასკ (კიევი) 1:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 2:1, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:0, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 2:0. ეს მატჩები გაიმართა 7 ოქტომბერს. მეორე დღეს კი 2 შეხვედრა შედგა: დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" დაამარცხა ლენინგრადის „დინამო" — 1:0, ხოლო ლვოვის „კარპატმა" — ყაზანის „რუბინი" — 6:0. ღსანიშნავია, რომ ლვოველმა ი. გაბოვდამ ამ მატჩში 3 გოლი გაიტანა.

I ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კაირათი" (ალმა-ათა) | 36 | 21 | 9 | 6 | 57—22 | 51 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 35 | 19 | 11 | 5 | 55—20 | 49 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 36 | 20 | 9 | 7 | 42—21 | 49 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 36 | 14 | 17 | 5 | 38—21 | 45 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 36 | 17 | 9 | 10 | 44—30 | 43 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 36 | 16 | 8 | 12 | 39—29 | 40 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 35 | 16 | 8 | 11 | 46—40 | 40 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 36 | 15 | 9 | 12 | 30—37 | 39 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 35 | 12 | 14 | 9 | 35—32 | 38 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 36 | 13 | 11 | 12 | 40—31 | 37 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 35 | 12 | 12 | 11 | 36—28 | 36 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 36 | 13 | 7 | 16 | 32—34 | 33 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 35 | 10 | 13 | 12 | 23—31 | 33 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 36 | 10 | 13 | 13 | 28—42 | 33 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 36 | 10 | 11 | 15 | 29—45 | 31 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 36 | 8 | 14 | 14 | 21—32 | 30 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 35 | 10 | 9 | 16 | 31—40 | 29 |
| „პამირი" (დუშანბე) | 36 | 10 | 9 | 17 | 37—51 | 29 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 36 | 8 | 12 | 16 | 29—38 | 28 |
| ასკ (კიევი) | 36 | 9 | 9 | 18 | 33—43 | 27 |
| „დაუგავა" (რიგა) | 35 | 7 | 11 | 17 | 28—44 | 25 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 35 | 6 | 7 | 22 | 20—62 | 19 |

# მარცხი საკუთარ მოედანზე

გორი. ქალაქის სტადიონი. 7 ოქტომბერი.

„დილა" (გორი) — „სატურნი" (რიბინსკი) 0:1 (0:1)

„დილა": ჩლაიძე, კოზინი, კობიაშვილი, გლავადსკი, ამბრიაშვილი (ნასარიძე), მარღიშვილი, ქეიშვილი, ეზუსბაია, კაპანაძე, ბურჯანაძე (პაპიაშვილი), ქორიძე (მაღრაძე).

„სატურნი": კარპუშინი, მეშკოვი, სოკოლოვი, შანინი, ორლოვი, დვორცოვი, ცეიტლინი, კონტიაკოვი, ეფიმოვი, სოლოვეი, ნიკულოვი.

მსაჯი ლ. ლუკომსკი (მოსკოვი).

მართალია, მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო, მაგრამ თამაშის ტემპი ძალიან დაბალი იყო. თავდაპირველად ბურთი ძირითადად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა, მერე კი თანდათანობით გამოიკვეთა „დილას" ტერიტორიული უპირატესობა. მასპინძლებმა რამდენიმე სწრაფი, ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს მოპირდაპირე კართან, თუმცა გადამწყვეტ დარტყმებს გორელი თავდამსხმელები სუსტად ასრულებდნენ. ტაიმის დასასრულს, 45-ე წუთზე, მოხდა ის, რასაც ალბათ არავინ ელოდა: რიბინსკელებმა კონტრშეტევა წამოიწყეს და სტუმრების ნახევარმცველმა ცეიტლინმა საკმაოდ შორი მანძილიდან მოულოდნელი და ზუსტი დარტყმით გოლი გაიტანა.

შესვენების შემდეგ „დილა" გამუდმებით უტევდა და რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნა, მაგრამ ამაოდ.

გ. გოზალიშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

უმაღლესი ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 26 | 16 | 4 | 6 | 40—16 | 36 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 27 | 15 | 6 | 6 | 42—20 | 36 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 27 | 11 | 12 | 4 | 41—22 | 34 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 27 | 10 | 12 | 5 | 25—20 | 32 |
| „დინამო" (თბილისი) | 26 | 11 | 7 | 8 | 34—24 | 29 |
| „დინამო" (კიევი) | 28 | 12 | 5 | 11 | 30—26 | 29 |
| „დინამო" (მინსკი) | 27 | 9 | 9 | 9 | 30—25 | 27 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 26 | 7 | 13 | 6 | 23—23 | 27 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 27 | 9 | 9 | 9 | 27—30 | 27 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 26 | 8 | 10 | 8 | 22—18 | 26 |
| „არარატი" (ერევანი) | 26 | 9 | 7 | 10 | 23—26 | 25 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 27 | 8 | 7 | 12 | 26—36 | 23 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 27 | 8 | 7 | 12 | 29—47 | 23 |
| „პახთაქორი" (ტაშკენტი) | 28 | 6 | 11 | 11 | 20—41 | 23 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 27 | 7 | 8 | 12 | 22—33 | 22 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 29 | 6 | 10 | 13 | 22—34 | 22 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 27 | 5 | 7 | 15 | 24—39 | 17 |

# კოკისპირულ წვიმაში

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 7 ოქტომბერი.

„დინამო" (ბათუმი) — „ვოლგა" (კალინინი) 1:0 (1:0).

„დინამო": პავლოვი, ჩხაიძე, წივწივაძე, ქორიძე, გიორგაძე, ილურიძე, მაჩხალიანი, ვაჟაკვიტაიშვილი, ჩხარტიშვილი, ესებუა, რამიშვილი.

„ვოლგა": პოდშივალოვი, ვერგოპულო, ალექსანდროვი (კალაშნიკოვი), კლიკოვი, ჩერნიავევი, კუზმინი, გალკინი, გოლოვანოვი, მალინინი, მასლენკოვი, კოსტენკო (ხიზუნი).

მსაჯი ბ. ვაროშინი (მოსკოვი).

მასპინძლები მალე დაეუფლნენ ინიციატივას. უკვე მე-10 წუთზე ესებუას გოლის გატანის შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ბურთი მიზანს ასცდა. ამის შემდეგ დინამოელებმა კიდევ რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ კარგა ხანს ნავსი ვერა და ვერ გატყდა. და აი, თამაშის 30-ე წუთზე ქორიძემ კარგად გამოიყენა საჯარიმო და დაახლოებით 30 მეტრიდან ზუსტი დარტყმით გაიტანა ამ მატჩის ერთადერთი გოლი.

შესვენების შემდეგ კოკისპირული წვიმა წამოვიდა, თამაში გაძნელდა, მაგრამ ბათუმელები მაინც ხშირად უტევდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანს. ერთი სიტყვით, მასპინძლებმა სტუმრები საკუთარ კარს მიაჯაჭვეს. მიუხედავად ამისა, „დინამომ" ანგარიში ვერ გაზარდა.

ო. მურმანიძე.
(ჩვენი საკ. კორ.).

II ჯგუფი

11 ზონა

11 ზონის I ქვეჯგუფში

ფეხბურთი საკავშირო

ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით რუსთავის „მეტალურგისა" და ლანჩხუთის „გურიის" შეხვედრის შედეგს. 6 ოქტომბრის ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „კახეთი" (თელავი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:1, „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) — „დინამო" (სოხუმი) 1:2, „მეტალურგი" (კრასნი სულინი) — „ტორპედო" (ვისკი) 1:0, „სპარტაკი" (რიაზანი) — „სულორი" (ვანი) 1:0, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:0, „სპარტაკი" (სარანსკი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 28 | 16 | 7 | 5 | 37—19 | 39 |
| „სპარტაკი" (რიაზანი) | 28 | 15 | 8 | 5 | 45—21 | 38 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 30 | 8 | 18 | 4 | 35—25 | 34 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 30 | 10 | 14 | 6 | 33—29 | 34 |
| „კახეთი" (თელავი) | 28 | 14 | 5 | 9 | 38—31 | 33 |
| „ტორპედო" (ვისკი) | 28 | 11 | 10 | 7 | 37—23 | 32 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 25 | 13 | 5 | 7 | 40—26 | 31 |
| „სპარტაკი" (სარანსკი) | 26 | 8 | 13 | 5 | 24—17 | 29 |
| „სულორი" (ვანი) | 30 | 10 | 7 | 13 | 26—44 | 27 |
| „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) | 27 | 7 | 12 | 8 | 34—32 | 26 |
| „მეტალურგი" (კრასნი სულინი) | 27 | 9 | 8 | 10 | 18—23 | 26 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 25 | 8 | 9 | 8 | 35—24 | 25 |
| „დინამო" (სოხუმი) | 30 | 6 | 12 | 12 | 25—34 | 24 |
| „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) | 27 | 7 | 9 | 11 | 22—27 | 23 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 28 | 8 | 7 | 13 | 30—52 | 23 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 20 | 4 | 10 | 6 | 17—19 | 18 |
| „სპარტაკი" (ტამბოვი) | 28 | 4 | 8 | 16 | 15—36 | 16 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 29 | 5 | 6 | 18 | 22—51 | 16 |



ამ სურათზე აღბეჭდილია სოხუმის „დინამოს" ნორჩ ფეხბურთელთა ვარჯიშის მომენტი. ნორჩებს ხელმძღვანელობს გამოცდილი მწვრთნელი გ. იოლჩიდი.

მ. ზარგარიანის ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).

სსრ კავშირის პირველობა რეგბიში

# თერთმეტი სპორტის ოსტატი

მოსკოვი. „ოქტიაბრის" სტადიონი. 8 ოქტომბერი.

„ლოკომოტივი" (თბილისი)—„დინამო" (მოსკოვი) 14:10 (9:5).

„ლოკომოტივი": ბენიაშვილი (მოდებაძე), ფეტვიაშვილი, აიწურაძე, ხანებლიძე, დავითაია, ნაცვლიშვილი, ყიფიანი, თეიმურაზ რუხაძე, კილასონია, კიზირია, მიქაბერიძე, გეგეშიძე, ფურცელაძე, კორნეევი, ხარშილაძე.

„დინამო": სოლოვიოვი, კულებიაკინი, პეჩიბორშჩი, კოკორევი, ტუკალოვი, ვდოვინი, შვეიცი, კრასილნიკოვი, კუზნეცოვი (კომაროვი), ხოხლოვი, ალესოვი, მატიუტინი, ბელიაკოვი, ისაევი, პონომარიოვი.

მსაჯი ე. რუბინასი (კაუნასი).

მატჩს ორივე კოლექტივისთვის უმაღლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა გადაეწყვიტა: დამარცხებული გაისიდან მეორე ჯგუფში უნდა გადასახლებულიყო. ამიტომაც მეტოქეებმა თავიდანვე უშეღავათო ბრძოლა გააჩაღეს. მზიანი ამინდი, მშრალი მოედანი რკინიგზელებს თავიანთი ტექნიკის სრულად გამოვლენის საშუალებას აძლევდა და ისინიც თავს არ ზოგავდნენ. ფლანგებიდან გარღვევების ჩაშლის შემდეგ თბილისელებმა არეკნით დარტყმით სცადეს მიზნის მიღწევა. მართლაც, ჯერ მიქაბერიძემ, შემდეგ კი ხარშილაძემ გუნდი დააწინაურეს — 6:0. შესვენებამდე გეგეშიძის არეკნით დარტყმა მიზანს ოდნავ ასცდა.

მასპინძლები მარცხს არ შეუშინდნენ: პეჩიბორშჩმა მოახერხა თბილისელთა ჩათვლის მოედანში შესვლა და ბურთის დადება. ხოხლოვმა რეალიზაცია ზუსტად გამოიყენა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა — 6:5, მაგრამ, მალე ფეტვიაშვილმა თანაგუნდელების წამოწყებული კომბინაცია კარგად დაამთავრა და ბურთი „დინამოს" ჩათვლის მოედანში დადო — 9:5.

შესვენების შემდეგ. მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და დაწინაურდნენ კიდეც, როცა ისაევმა ბურთი რკინიგზელთა ჩათვლის მოედანზე დადო, ხოლო ხოხლოვმა რეალიზაციით ძელებს შუა გაატარა — 10:9 „დინამოს" სასარგებლოდ.

თბილისელებს დარჩენილ დროში მთელი თავიანთი ოსტატობის გამოყენება დასჭირდათ, რათა მატჩის ჩარხი თავისკენ შეებრუნებინათ. მოედნის ცენტრში შერკინება დაინიშნა. ბურთი მოდებაძემ მოიგო და გეგეშიძეს მიაწოდა. ამ უკანასკნელმა ბურთი გადასცა კიზირიას, რომელმაც მეტოქის ჩათვლის მოედნისკენ საიერიშოდ კარგ მდგომარეობაში მყოფი ნაცვლიშვილი შეამჩნია და მას გადააწოდა. ნაცვლიშვილმაც ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში დადო. იქვე მიქაბერიძემ ზუსტად დაარტყა რეალიზაცია — 14:10. ასე დამთავრდა ეს საინტერესო მატჩი, რომელმაც თბილისელებს IV ადგილი მოუპოვა, ხოლო მოსკოვის დინამოელებს უმაღლესი ლიგა დაატოვებინა.

რკინიგზელებს ამ გამარჯვებამ მეორე დიდი სიხარულიც მოუტანა: გუნდის 11 მოთამაშემ (ბენიაშვილი, ფეტვიაშვილი, ყიფიანი, თეიმურაზ რუხაძე, კიზირია, მიქაბერიძე, გეგეშიძე, კორნეევი, ხარშილაძე, კირტავა, გოგორიშვილი) სპორტის ოსტატის სახელი მოიპოვა, ხოლო დანარჩენებმა — სპორტის ოსტატობის კანდიდატისა.

დასკვნითი ტურის ცენტრალური შეხვედრა საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონის, გათამაშების ლიდერის — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიისა და სპორტკლუბ „ფილის" (მოსკოვი) მატჩი იყო. მომავალ მფრინავებს ჩემპიონობის შენარჩუნებისთვის ფრეც ჰყოფნიდათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

პირველი ტაიმის ბოლომდე მეტოქეებს გამარჯვების თანაბარი შანსი ჰქონდათ. ორჯერ გრიგორიანცმა ვერ შეძლო „ფილის" კარის აღება, ხოლო შემდეგ ისიანოვს რამდენიმე მეტრი დააკლდა, რომ ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში შეეტანა. მაგრამ შესვენებამდე, 45 წამით ადრე ისიანოვის შეცდომა გამოასწორა ლუდვიპოლმა, რომელმაც ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში დადო. რეალიზაცია ზუსტად გამოიყენა ივაშოვმა და „ფილი" დაწინაურდა — 5:0.

მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე წინ მომავალი მფრინავები იყვნენ—6:5. მაგრამ მათ მაინც წააგეს—„ფილიმ" დარჩენილ დროში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, გაიმარჯვა (8:6) და ჩემპიონი გახდა.

საავიაციო ინსტიტუტისა და „ავტომობილისტის" გუნდების მატჩი ფრედ (3:3) დამთავრდა. ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" მოუგო კიევის „დინამოს" — 15:6.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდის წევრმა ა. გრიგორიანცმა, რომელმაც თავის კოლექტივს 43 ქულა შესძინა.

 რ. აიწურაძე.

(ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).

## გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფილი" (მოსკოვი) | 7 | 5 | 1 | 1 | 63—46 | 11 |
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) | 7 | 4 | 2 | 1 | 44—24 | 10 |
| სამხედრო-საჰაერო აკადემია | 7 | 5 | 0 | 2 | 99—43 | 10 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 7 | 2 | 2 | 3 | 53—69 | 6 |
| „ავტომობილისტი" (მოსკოვი) | 7 | 2 | 2 | 3 | 44—60 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 7 | 2 | 1 | 4 | 63—80 | 5 |
| „დინამო" (კიევი) | 7 | 1 | 3 | 3 | 36—58 | 5 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 7 | 1 | 1 | 5 | 34—62 | 3 |

## ყველაზე გამაყრუებელი რბოლები

ლონდონი, 9 ოქტომბერი. აქამდე ყველაზე გამაყრუებელ რბოლად ავტომობილისტთა შეჯიბრებას თვლიდნენ. მაგრამ სპორტის ამ სახეობას ბევრად გადააჭარბა ჰაერის ბალიშით აღჭურვილი პატარა გემების ასპარეზობამ. იგი გაიმართა მდინარე ტემზაზე, ლონდონის ერთ-ერთ მიყრუებულ ყურეში. პირველ ღონისძიებაში ჩაება 20 ენთუზიასტი, რომელთა ნახელავმა ძრავების გამაყრუებელი გუგუნით მყუდროება დაუფრთხო ადგილობრივ მცხოვრებლებს. შეჯიბრების პირობების თანახმად, მონაწილეებს უნდა დაეფარათ 8-კილომეტრიანი რკალი. რბოლა მოიგო 33 წლის ლეიტონელმა ჯ. კენტმა, რომელმაც განავითარა 45 კმ სიჩქარე საათში.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ყოველწლიურად გამართონ მსგავსი სპორტული ღონისძიება.

## ფრეის ერთი რეკორდი დაემხო

მეხიკო, 8 ოქტომბერი. ველოსიპედისტთა მსოფლიო რეკორდების ცხრილში სამჯერ არის აღნიშნული 1968 წელი. XIX ოლიმპიური თამაშების შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ეს შედეგები ჯერჯერობით უცვლელია, როგორც ოლიმპიადის კეთილი მოგონება.

უმაღლეს ველომიღწევათა ცხრილში შარშან 4 შესწორება იქნა შეტანილი. მაგრამ გასაკვირი ისაა, რომ ოთხივე რეკორდის ავტორი ერთი და იგივე სპორტსმენია — შესანიშნავი დანიელი ველოსიპედისტი მ. ფრეი. სტაიერული დისტანციების ამ თავისებურმა ვირტუოზმა თანმიმდევრულად გააუმჯობესა მსოფლიოს საუკეთესო შედეგები 5, 10, 20-კილომეტრიან დისტანციებზე და ერთსაათიან რბოლაში.

გუშინ ფრეის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი გაუქმდა. ეს მოხდა „მაგდალენა მისხუკას" ოლიმპიურ ტრეკზე, სადაც ორი წლის წინ მექსიკელები ტაშს უკრავდნენ თანამედროვეობის გამოჩენილ ველოსიპედისტებს. რეკორდი, რომლის ავტორია 28 წლის კოლუმბიელი მ. როდრიგესი, გაუმჯობესდა 1-საათიან რბოლაში. 5 ათასი გულშემატკივარი მხიარული შეძახილებით შეხვდა ცნობას ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარების შესახებ, რომელიც ახლა 47 კილომეტრს, 553 მეტრსა და 24 სანტიმეტრს უდრის. ფრეის მიღწევა ერთბაშად 39 მეტრითა და 55 სანტიმეტრით გაუმჯობესდა.




რაიონის ფიზკულტურელთა თავკაცი დააწინაურეს — გამწვანების განყოფილების უფროსად გადაიყვანეს. მის ადგილზე ხილის დამამზადებელი პუნქტის გამგე, უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე ტარაბუაძე დასვეს.

ფიზკულტურელთა ახალმა უფროსმა საქმე იმით დაიწყო, რომ ადგილობრივი აქტივი შეკრიბა და თათბირზე პირველი სიტყვა რიხიანად წარმოთქვა:

— რატომ უნდა ჩამოვრჩეოდეთ სხვა რაიონებს? მერე რა, რომ არა გვაქვს შესაფერი სპორტული ბაზები. ჩვენს დაბაში რომ მინდვრები და მდინარეა, ასეთი სხვებს რომ ჰქონდეთ, მსოფლიო ჩემპიონებისა და რეკორდსმენების თვლას ვერ აუვიდოდნენ. თქვენ კი თურმე გეგმებსაც ვერ ასრულებთ. რა უნდა გეგმის შესრულებას, ქაღალდი და კალამი არ გაგაჩნიათ?! ყველაფერს მარიფათი უნდა, მარიფათი!

ტარაბუაძის ბოლო სიტყვები შეკრებილებმა ვერ გაიგეს და გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ამიტომ იყო, სიტყვა ვერავინ შებედა. ისე კი ყველამ კარგად იცოდა, რომ სიმინდის ყანებსა და ნახევრად დამშრალ ღელეში სპორტსმენებს ყოვლისშემძლე ღმერთიც კი ვერ მოამზადებდა. ყველა თავის ტყავს გაუფრთხილდა და თათბირმა მშვიდ, მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

ასევე მშვიდობამ დაისადგურა ფიზკულტურის კომიტეტის საქმიანობაში. თავმჯდომარეს არავინ აწუხებდა, არც ის იწუხებდა მაინცდამაინც თავს მუშაობით და ამასობაში შემოდგომამაც კარზე მოუკაკუნა რაიონის ხელმძღვანელებს. გაჩაღდა ახალი მოსავლის აღებისთვის ოდითგანვე დაწესებული კამპანია და ტარაბუაძე ერთ ჩამორჩენილ სოფელში მიავლინეს იქ ჩავარდნილი საქმის მოსაგვარებლად. მანაც არც აცია, არც აცხელა, მთელი სოფელი აალაპარაკა ღვინის უზომო სმით და შესანიშნავი თამადობით. ქეიფსა და ღრეობაში გაიარა დრომ, ჩამორჩენილი სოფელიც წელში გაიმართა. უკვირდათ, რით, როგორ! მაგრამ ხაეჭვო კითხვები აბა ვის აინტერესებდა, როცა გეგმები შესრულდა და ამის შესახებ ცნობა აფრინეს, სადაც ჯერ არს.

რაიონის ცენტრში დაბრუნებულ თავმჯდომარეს ზარ-ზეიმის ნაცვლად უხალისოდ შეხვდნენ ადგილობრივი ფიზკულტურელები, საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურის მეთოდისტები, სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლები.

— რა თავ-პირი ჩამოგტირით!— თითქმის იყვირა ტარაბუაძემ.

— ვერც ერთი შეჯიბრება ვერ მოვიგეთ, — თქვა ერთმა.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საფეხბურთო მინდორი გადახნა, — დაუმატა მეორემ.

— გეგმებს ვერ ვასრულებთ და რა გვეშველება, — განაცხადა მეხამემ.

—მაიტ, თქვე ლაჩრებო,—იკივლა ტარაბუაძემ. — შარშან მთელს რაიონში ხილის ჭაჭანება არ იყო. გახსოვთ, ყველაფერი რომ გაახმო სიცხემ? და როგორ გგონიათ, გეგმა არ შესრულდა?

— როგორ? — შესძახა ყველამ ერთხმად.

— ეს მე ვიცი და ჩემმა მარიფათმა. თქვენ წადით და იმუშავეთ....

— ქალო, ქათამაძე მომეცი, არ გესმის! ოო, შალვას გაუმარჯოს, ყველაფერი კარგი მოგცეს ღმერთმა. როგორაა საქმე შენს რაიონში? რა ვქნა, ჩემო შალვა, ვწვალობ. ხომ იცი ფიზკულტურელების ამბავი. ამათ ყველაფერი უნდათ: მო-

ფელეტონი

ედნები, სტადიონი, აუზი, დარბაზი. მართალს ამბობ. ეს ყველაფერი რაიონებს კი არა, ბევრ ქალაქს არ გააჩნია, მაგრამ მაინც იოლად გადიან. ერთი სათხოვარი მაქვს: მეორე სკოლაში კალათბურთელების კარგი გუნდი გყავს, კვირისთვის მათხოვე ერთი დღით. რად მინდა? ნაცარი უნდა შევაყარო ყველას თვალებში.

— ქალო, კუპატაძე დამალაპარაკე. გაუმარჯოს ჩვენი რაიონის მოსისხლე რაიონის ფიზკულტურელთა თავკაცს. ტარაბუაძე ვარ, ვერ მიცანი? ერთი თხოვნა მაქვს: ამ კვირისთვის მძლეოსნები უნდა მათხოვო, თორემ შენც მალე დაგჭირდება ჩემი მოჭიდავეები და უარს გტკიცავ, იცოდე...

მშვენიერი კვირა გათენდა. ტარაბუაძე კარგ გუნებაზე ადგა. სადაცაა უნდა გამოჩენილიყვნენ მეზობელი რაიონებიდან „ნასესხები" სპორტსმენები. მალე ისინიც მოვიდნენ და საშუალო სკოლის სპორტულ მოედანზე გაჩაღდა კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსანთა შეხვედრები. ასპარეზობათა შედეგები ოქმებში ჩაიწერა. ყველაფერი კარგად რომ დამთავრდა, კმაყოფილმა ტარაბუაძემ შვებით ამოისუნთქა და თავის კაბინეტში შუაღამემდე იყო ჩაკეტილი.

სადაც ჯერ არს, ისევ გაიგზავნა ცნობები თანრიგოსნების მომზადებისა და სხვა გეგმების გადაჭარბებით შესრულების თაობაზე. იმ გრაფაში, სადაც უნდა ჩაწერილიყო სპორტბაზების რაოდენობის ციფრი, შევიდა სოფლის ირგვლივ არსებული სიმინდის ყანები, სპორტდარბაზების რიცხვს დაემატა მეცხოველეობის ფერმის ოთხი ახალი შენობა.

ქაღალდისა და კალმის წყალობით რაიონში „საქმე კარგად წავიდა" და ტარაბუაძემ პრეტენზიაც კი წარუდგინა ზემდგომ ორგანოს გარდამავალი დროშის მისი რაიონისთვის მინიჭების თაობაზე.

... ერთ მშვენიერ დღეს ტარაბუაძე აღმასკომის დარაჯმა დილაადრიან წამოაგდო ფეხზე.

— ცენტრიდან ვიღაც პორტფელიანი ხალხია ჩამოსული და თქვენ გკითხულობენ.

ტარაბუაძეს ეს ცნობა მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა. იფიქრა, წყალწყალა საბუთებს გაწურავენ, საფინანსო დარღვევებსაც გამოამზეურებენ, მეც დამღუპავენ და ჩემს ოჯახსაცო. მოქუსლა და იმ დღიდან ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერავინ გაიგო.

ერთი თხოვნა გვაქვს: ტარაბუაძესა და მის მსგავს მუშაკებს თუ სადმე წააწყდეთ, დაიჭით, არ გაუშვათ!

ზ. ჯაფარიძე.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABdARUGAS •

## კოლის რეკორდი საფრთხეშია

პოლონეთის ნაკრების არსებობის მანძილზე ყველაზე შედეგიან თავდამსხმელად პოლი ითვლება: ნაკრებში ჩატარებულ 49 მატჩში მან 40 გოლი გაიტანა. ამ რეკორდს, როგორც ჩანს, დიდი დღე არ უწერია. საქმე ისაა, რომ პოლი უკვე კარგა ხანია აღარ თამაშობს, ახალგაზრდა თავდამსხმელი ლიუბანსკი კი სულ უფრო აუმჯობესებს შედეგებს.

ახლა ლიუბანსკის 40 მატჩში 29 გოლი აქვს გატანილი და 11 ადგილზეა. ეს ფორვარდი კი ალბათ დიდ ხანს ითამაშებს ნაკრებში.

## „მიტროპის თასზე"

„მიტროპის თასის" გათამაშებაში იტალიის, უნგრეთის, იუგოსლავიის, ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის 16 გუნდი ჩაება.

პირველი წრე 21 დეკემბრამდე უნდა დასრულდეს. ერთმანეთს ხვდებიან „ვაშაში" (ბუდაპეშტი) — „აუსტრია" (ზალცბურგი), „ლანეროსი" (ვიჩენცა) — „რადნიჩკი" (ნიში), „ტორინო" — მტკ (ბუდაპეშტი), „ლინცერ ატლეტიკ კლუბი" — „შკოდა" (პლზენი), „გრაცერ ატლეტიკ კლუბი" — „მარიბორი", „სლავია" (პრაღა) — „ჩეპელი", „ბანიასი" (დიოშდიერი) — „ლოკომოტივი" (კოშიცე), „ცელიკი" (ზენიცა) — „კატანია".

მეოთხედფინალური მატჩები უნდა დამთავრდეს 15 აპრილამდე, ნახევარფინალური მატჩები — 31 მაისამდე. ფინალური შეხვედრები გაიმართება არა უგვიანეს 24 ივნისისა.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

ტყვიის სროლა. ავჭალის სასროლეთი. 10 ოქტომბერი. თბილისის პირადგუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს.

მძლეოსნობა. „ლოკომოტივის" სტადიონი. 10-11 ოქტომბერი. საქართველოს პროფსაბჭოსა და განათლების განყოფილების ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლების გუნდების მატჩი. დასაწყისი 16 ს.

ფეხბურთი. „სინათლის" სტადიონი. საქართველოს პირველობა. 11 ოქტომბერი. „სინათლე" (თბილისი) — „ცისკარი" (სიღნაღი). დასაწყისი 16 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04439